03/07/2024

MES 0 24 0000796386

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო)

წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისი N169 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამოქალაქო განათლების ექსპერტი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)
წარმომადგენლები:

გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

თამარ ფიფია- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ცირა კეჟერაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს - სკოლა ღონე ქვეყნისა:
მანანა ქარქაშაძე- სკოლის დამფუძნებელი
თამარი ადეიშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ- ქალაქ თბილისის №21 საჯარო სკოლა
თამარ ამზაშვილი - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

შპს - სკოლა ღონე ქვეყნისა:

ა) მანანა ალიბეგაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) გიორგი ნებიერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო შუბლაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ეთერ ბოკელავაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო ლაცაბიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მაკა გიორგბერიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ავთანდილ ცნობილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარი ფალელაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მაია ჩაჩხიანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ალექსანდრე ჩახნაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) მანანა როსტომაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2024 წლის 21 ივნისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს - სკოლა ღონე ქვეყნისას ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

2. „სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქედლების საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 26 დეკემბრისN1766218 გადაწყვეტილებისა და N1765579 ოქმის მეოთხე ნაწილში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა;

3. „სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 დეკემბრის N1707385 გადაწყვეტილებისა და N1704379 ოქმის მეათე ნაწილში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა;

4. სსიპ- ქალაქ თბილისის №21 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

5. სსიპ- ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და, შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. შპს - სკოლა ღონე ქვეყნისას ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს,

დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მანანა ალიბეგაშვილმა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ შპს - სკოლა ღონე ქვეყნისაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 24 და 25 აპრილს. სკოლის ერთი შენობა მდებარეობდა ქალაქ ქუთაისში, უზნაძის №26- ში და რომევიჩის ქ. №2-ში, ხოლო მეორე შენობა თამარ მეფის ქუჩა N54-ში, სადაც განთავსებული იყო საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 144 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 144- მოსწავლისთვის.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მანანა ალიბეგაშვილმა განაცხადა, რომ პირველი, მეორე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მესამე და მეოთხე სტანდარტები შეფასებული იყო , როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. აქვე ექსპერტმა აღნიშნა, რომ მესამე სტანდარტის 3.4 კომპონენტი შეფასებული იყო, როგორც „მეტწილად შესაბამისი”. ექსპერტის განცხადებით, თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

ექსპერტმა პრეზენტაციის ფორმატში წარადგინა სკოლის შენობის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლაში იყო მშვიდი და მოსწავლეზე ორიენტირებული გარემო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა მიმართა ექსპერტს და სთხოვა დაეზუსტებინა, რამდენი მოსწავლე სწავლობდა სკოლაში და იყო თუ არა რომელიმე მათგანი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე.

ექსპერტმა, მანანა ალიბეგაშვილმა, განაცხადა რომ საავტორიზაციო ვიზიტის დროს, სკოლაში ირიცხებოდა 113 მოსწავლე და მათგან არც ერთი არ იყო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა ყურადღება გაამახვილა სკოლის მიერ დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და ექსპერტებს მიმართა დაეზუსტებინათ, კონკრეტულად, რომელ საკითებზე გაამახვილეს ყურადღება და დამატებით რომელი დოკუმენტაციის გადმოგზავნა სთხოვეს დაწესებულებას.

ექსპერტმა, მანანა ალიბეგაშვილმა განაცხადა, რომ თავდაპირველად სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი საქმისწარმოების წესი, ხოლო ექპერტთა მოთხოვნის შემდეგ, სკოლამ უზრუნველყო აღნიშნულის გადმოგზავნა.

ექსპერტმა, გიორგი ნებიერიძემ, ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა სკოლაში არსებული უსაფრთხო გარემოს შექმნით. მისი განცხადებით სკოლის შენობა წარმოადგენდა

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს და ნებისმიერი ცვლილება გარკვეულ პრობლემებთან იყო დაკავშირებული. სკოლის მეორე კორპუსი ვიზიტისას არ იყო სრულად ადაპტირებული, თუმცა მათ შესაბამისობის გეგმის ფარგლებში არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოადგინეს მეორე კორპუსის კიბეებზე მოძრავი პანდუსის დამზადების მიღება-ჩაბარების აქტი და ფოტოები.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, სპორტის საგნობრივ ექსპერტს სთხოვა მეტი დეტალი წარმოედგინა კურიკულუმებთან დაკავშირებით.

სპორტის საგნობრივმა ექსპერტმა, ალექსანდრე ჩახნაშვილმა განაცხადა, რომ სპორტის კურიკულუმები იყო საკმაოდ მრავალფეროვანი, მასწავლებელი უზრუნველყოფდა პროექტულ სწავლებას და ახორციელებდა ინტეგრირებულ გაკვეთილებს. ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენდა სპორტის და ბიოლოგიის ინტეგრირება, რომლის ფარგლებშიც მოწვეული იყო ექიმი-ენდოკრინოლოგი და ჩატარდა ინფორმაციული ხასიათის ლექცია მოსწავლეებთან ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ, რომელთან დაკავშირებითაც მასწავლებელმა ასევე წარმოადგინა მოსწავლეთა რეფლექსიებიც.

სკოლის დამფუძნებელმა, მანანა ქარქაშაძემ, ასევე აღნიშნა, რომ სპორტის მასწავლებელი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა კურიკულუმის შემუშავებას, იგი გამოირჩეოდა განსაკუთრებული აქტიურობით და ახორციელებდა არაერთ პროექტს თუ კომპლექსურ დავალებას.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, კითხვით მიმართა ასევე საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ექსპერტს და სთხოვა მეტი დეტალი წარმოედგინათ ვიზიტის დროს აღმოჩენილ გარემოებებთან დაკავშირებით.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ეთერ ბოლქვაძემ განაცხადა, რომ ვიზიტისას გამოიკვეთა მასწავლებელთა აქტიური თანამშრომლობა, როგორც კურიკულუმის შემუშავების პროცესში, ასევე სხვადასხვა პროექტების დაგეგმვა-განხორციელებაში. ექსპერტის განცხადებით, მისი მხრიდან არ გაცემულა საგნობრივი მიმართულებით რჩევები და რეკომენდაციები, ვინაიდან კათედრასთან შეხვედრებისას პედაგოგებმა ამომწურავად უპასუხეს შეკითხვებს და წამოადგინეს დამატებითი დოკუმენტაციაც.

16:20 საათზე საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი, ნატო გაბოშვილი.

საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი დაინტერესდა ჰქონდა თუ არა სკოლას ბუფეტი.

სკოლის დამფუძნებელმა, მანანა ქარქაშაძემ, განაცხადა, რომ სკოლას ბუფეტი არ ჰქონდა და არც საკვების შეთავაზება ხდებოდა მათი მხრიდან, თუმცა სკოლის შენობაში გამოყოფილი იყო სპეციალური სივრცეები, სადაც მოსწავლეებს ჰქონდათ საშუალება საკვები თავად შემოეტანათ დაწესებულებაში და ესადილათ.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, განაცხადა, რომ სკოლის დოკუმენტაციაში მოცემული იყო მოსწავლის SWOT - ანალიზი. საბჭოს წევრი დაინტერესდა, რამდენად ხშირი იყო სხვა მოსწავლეების მხრიდანაც მსგავსი ანალიზების შექმნა და ახდენდა თუ არა სკოლა რეაგირებას მოსწავლეთა სწავლასთან დაკავშირებულ სისუსტეებსა და საფრთხეებზე.

დაწესებულების დამფუძნებელმა, მანანა ქარქაშაძემ განაცხადა, რომ სკოლაში დიდი ყურადღება ექცეოდა ობიექტურ თვითშეფასებას და საკუთარი შესაძლებლობების განსაზღვრას. მსგავს SWOT- ანალიზებს მოსწავლეები ახორციელებდნენ წელიწადში ორჯერ, ამ ყველაფრის მიზანი კი იყო ის, რომ მოსწავლეებს ესწავლათ სწორი და ობიექტური თვითშეფასება.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, სკოლის წარმომადგენელს სთხოვა დაეზუსტებინა განიხილავდნენ თუ არა მოსწავლეთა SWOT- ანალიზის შედეგებს კლასთან ან ინდივიდუალურად.

სკოლის დამფუძნებელმა, მანანა ქარქაშაძემ განაცხადა, რომ აღნიშული საკითხის განხილვა ხორციელდებოდა შინაარსიდან გამომდინარე. კერძოდ, თუკი ამას მოსწავლის თვითშეფასება

და მისი შედეგები მოითხოვდა, კლასის დამრიგებელი ან საგნის მასწავლებელი უზრუნველყოფდა ინდივიდუალურ განხილვას მოსწავლეებთან, სხვა შემთხვევაში კი საკითხის განხილვა და შეფასება ხდებოდა კლასთან ერთობლივად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სკოლა ღონე ქვეყნისას ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 144 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 16:35.
დასრულების დრო: 16:40

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს - სკოლა ღონე ქვეყნისას (ს/კ: 412683546) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 144 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. ქუთაისი. უზნაძის №26 / როძევიჩის ქ. №2; ქ.ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №54
2		საბაზო	ქართული	

	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			ქ. ქუთაისი. უზნაძის №26 / როძევიჩის ქ. №2; ქ.ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №54
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. ქუთაისი. უზნაძის №26 / როძევიჩის ქ. №2; ქ.ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №54

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით:**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის ივლისში 3.4 კომპონენტთან მიმართებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება. კერძოდ, სკოლამ უნდა უზრუნველყოს სამინისტროსთან შეთანხმებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის წარმოდგენა ცენტრში.

2. „სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქედლების საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 26 დეკემბრის N1766218 გადაწყვეტილების პირველ პუნქტსა და N1765579 ოქმის მეოთხე ნაწილში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს სხდომაზე განმარტა, რომ 2023 წლის 26 დეკემბრის N1766218 გადაწყვეტილების პირველ პუნქტსა და N1765579 ოქმის მეოთხე ნაწილში

ფიქსირდებოდა ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასა და ოქმში, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქედლების საჯარო სკოლის საიდენტიფიკაციო კოდად მითითებული იყო - 242735974, ნაცვლად 248053751 - სა. შესაბამისად, მიზანშეწონილი იყო გასწორებულიყო ტექნიკური შეცდომა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 26 დეკემბრის №1766218 გადაწყვეტილებისა და №1765579 ოქმის მეოთხე ნაწილში.

ცენტრის წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, 2023 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ვადად განისაზღვრა ავტორიზაციის მოპოვებიდან 9 წელი. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულმა დაწესებულებამ ახალი სტანდარტების შესაბამისად გაიარა ავტორიზაცია, მიზანშეწონილი იყო ცვლილება განხორციელებულიყო ამ მიმართულებითაც და დაწესებულებისათვის ავტორიზაციის ვადად განსაზღვრულიყო 9 წელი.

საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქედლების საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 26 დეკემბრის N1766218 გადაწყვეტილების პირველ პუნქტსა და N1765579 ოქმის მეოთხე ნაწილში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე და 63-ე მუხლების საფუძველზე, „სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქედლების საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 26 დეკემბრის N1766218 გადაწყვეტილების პირველ პუნქტში შევიდეს ცვლილება, გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქედლების საჯარო სკოლას (ს/კ:248053751) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი.“

გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 26 დეკემბრის №1765579 ოქმის მეოთხე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქედლების საჯარო სკოლას (ს/კ: 248053751) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ქედლები; ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო ქედლები; ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ზემო ქედლები
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ქედლები
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ქედლები

3. „სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N 1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 დეკემბრის N1707385 გადაწყვეტილების პირველ პუნქტსა და N1704379 ოქმის მეათე ნაწილში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს სხდომაზე განმარტა, რომ 2023 წლის 13 დეკემბრის N1707385 გადაწყვეტილების პირველ პუნქტში ფიქსირდებოდა ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის

მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1 საჯარო სკოლის საიდენტიფიკაციო კოდად დაფიქსირებული იყო 223104281, ნაცვლად 230078340 - სა. შესაბამისად, მიზანშეწონილი იყო გასწორებულიყო ტექნიკური შეცდომა.

ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, 2023 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ვადად განისაზღვრა ავტორიზაციის მოპოვებიდან 9 წელი. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულმა დაწესებულებამ ახალი სტანდარტების შესაბამისად გაიარა ავტორიზაცია, მიზანშეწონილი იყო ცვლილება განხორციელებულიყო ამ მიმართულებითაც და დაწესებულებისათვის ავტორიზაციის ვადად განსაზღვრულიყო 9 წელი.

საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 დეკემბრის N1707385 გადაწყვეტილების პირველ პუნქტში ცვლილების, ტექნიკური შეცდომის გასწორებისა და N1704379 ოქმის მეათე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59და 63-ე მუხლების საფუძველზე, „სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 დეკემბრის N1707385 გადაწყვეტილების პირველ პუნქტში შევიდეს ცვლილება, გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1 საჯარო სკოლას (ს/კ: 230078340) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი.“

შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 დეკემბრის N1704379 ოქმის მეათე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1 საჯარო სკოლას (ს/კ: 230078340) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	სოფელი მეორე სვირი, პირველი ქუჩა N46
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	სოფელი მეორე სვირი, პირველი ქუჩა N46
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	სოფელი მეორე სვირი, პირველი ქუჩა N46

4. სსიპ - ქალაქ თბილისის №21 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ან გარიშის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ- ქალაქ თბილისის №21 საჯარო სკოლას 2023 წლის 13 სექტემბრის N1140377 გადაწყვეტილების საფუძველზე მიენიჭა ავტორიზაცია. მისი თქმით, საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, კერძოდ, ცენტრში წარმოედგინა ვერიფიკაციის მექანიზმი. დაწესებულებამ განსაზღვრულ ვადებში წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტაცია, რომელიც შემდგომში ცენტრის მხრიდან მიეწოდა ავტორიზაციის საბჭოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა, დაიწყო თუ არა სკოლამ აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით მუშაობა.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა - თამარ ამზაშვილმა, განაცხადა რომ სკოლამ გასულ სასწავლო სემესტრშივე შეიმუშავა დოკუმენტი და დაიწყო მისი ამოქმედება. დირექტორის განცხადებით სკოლამ გაწია დიდი შრომა, შექმნა შესაბამისი ჯგუფები, მოარგეს დოკუმენტი სკოლის საჭიროებებს და აქტიურად მუშაობდნენ მოცემულ საკითხზე. დირექტორმა, ასევე აღნიშნა, რომ ვერიფიკაციის მექანიზმის შემდეგ გამოიკვეთა გარკვეული საკითხები კათედრებს შორისაც, რაზეც გაიცა რეკომენდაციები და მომავალი სასწავლო სემესტრისთვისაც დაიგეგმა კონკრეტული ნაბიჯები, იმისათვის, რომ გათვალისწინებული ყოფილიყო რეკომენდაციები და ვერიფიკაციის მექანიზმი გამხდარიყო მეტად პროდუქტიული.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები დაწესებულების წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ქალაქ თბილისის №21 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

5. სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებ ების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ა ნგარიშის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ- ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლას 2023 წლის 13 ნოემბრის N1539898 გადაწყვეტილების საფუძველზე მიენიჭა ავტორიზაცია. მისი თქმით, საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, კერძოდ, ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ამწოვითა და ცეცხლგამძლე ზედაპირიანი მაგიდით აღჭურვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტაცია, რომელიც შემდგომში ცენტრის მხრიდან მიეწოდა ავტორიზაციის საბჭოს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ- ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 17:00 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა